ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №114

2015 წლის 3 სექტემბერი

ქ. რუსთავი

,,ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 და 24-ე მუხლების და ადგილობრივი თითმმართველობის კოდექსის 156-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1
„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს №7 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 12/08/2014, 010250020.35.160.016218) პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
მუხლი 2
დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2015 წლის 5 აგვისტოდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **ნინო ლომიძე**

დანართი

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯის ანაზღაურების ოდენობა

№	თანამდებობის დასახელება	ანაზღაურების ოდენობა (ლარი)		ანაზღაურების ზღვრული ოდენობა (ლარი)
		საკრებულოს სხდომებში და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მიღებისთვის	ამომრჩევლებთან შეხვედრებისთვის	საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისთვის
1	საკრებულოს წევრი	160	125	125